სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 03-71

ქ. თბილისი

29.01.2015

2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ფაკულტეტიდან/სკოლიდან ფაკულტეტზე/სკოლაში და ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის, ანუ ფაკულტეტიდან/სკოლიდან ფაკულტეტზე/სკოლაში ან ცალკე მიღების მქონე პროგრამიდან საერთო მიღების მქონე პროგრამაზე გადასვლის შესახებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მიერ განცხადებების დაწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 20 თებერვალი;
2. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების სტუდენტთათვის/პროფესიულ სტუდენტთათვის გაცნობის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 10 მარტი;
3. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების იურიდიული სამსახურისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 12 მარტი;
4. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ შიდა მობილობის შესახებ ბრძანების მომზადების ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 13 მარტი;
5. დაევალოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებსა და სკოლებს არგუსსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში შიდა მობილობის შედეგების ასახვა შიდა მობილობის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში;

6. შიდა მობილობის შედეგების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 27 მარტი;

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი;

8. შიდა მობილობის პროცესზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შესაბამისი ფაკულტეტების/სკოლების დეკანები;

9. ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს დაევალოთ ფაკულტეტებზე/სკოლებში შექმნან ჯგუფი, რომელიც მოახდენს შიდა მობილობის პროცესის უზრუნველყოფას;

10. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ უზრუნველყონ ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის;

11. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსი"-ს საშუალებით;

12. ფაკულტეტებს/სკოლებს დაევალოთ უზრუნველყონ შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა თავსებადობის დასკვნების მიწოდება არგუსის კოორდინატორის - ირინა ბაზღაძისათვის, ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში;

13. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

14. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;

15. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

რექტორი გიგა ზედანია